№ 193. 30 სეკტემბერი, პარასკევი. 1866—1883 30 სეკტემბერი, პარასკევი. № 193.

რედაქცია
სიმონსონის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზია-ში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

**„დროებაზედ"**

პირველის ოკტომბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი სამი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ორი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

27 სექტემბერს.

**პეტერბურგი.** დღეს დიდის ამბით დაასაფლავეს ტურგენიევი; ტაროსი თბილი და მშვენიერი იყო; პროცესიაში მონაწილეობას იღებდენ 180 დეპუტაცია და 200-ზე მეტი გვირგვინი მოჩანდა. საზოგადო ყურადღებას იპყრობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის გვირგვინი ორის დროშით, აგრეთვე აღმოსავლეთ ციმბირისა, ძველის ნოვგოროდის და კიევის სტუდენტების გვირგვინები; საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს: პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა ბეკეტოვმა, მოსკოვისამ მუროვცევმა და მწერალმა გრიგოროვიჩმა; პლეშჩეევმა ლექსები წაიკითხა; გრიგოროვიჩმა თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: «მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო, ანუ უკეთ, მალე ნახვამდის!» ცისფერი ატლასით მორთული და გვირგვინებით სავსე კუბო ჩაუშვეს საფლავში; ცერემონია გაგძელდა $10\frac{1}{2}$ საათიდამ $3\frac{1}{2}$.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა მინისტრი 26 სექტემბერს კავკასიაში წავიდა სამსახურის საქმეებისათვის.

განზრახვა აქვსთ შეაერთონ შავი და აზოვის ზღვები არხით გენიჩესკთან სამხრეთში ვაჭრობის და მრეწველობის გასაცხოველებლად; როგორც ამბობენ, თანხა უკვე შეუკრებიათ და მუშაობას შეუდგებიან 1884 წელში და დაასრულებენ 1885 წელსა.

**პარიჟი.** სამხედრო მინისტრად გენერალი კამპენონი დაინიშნა.

დღეს ქორესი პეტერბურგში მიდის დასათხოვი ქალაქების ჩასაბარებლად

**სოფია.** სახალხო კრებამ დაამტკიცა კანონ-პროექტი იმ ხარჯის შესახებ, რაც რუსეთს მოუვიდა იქ დროებით ჯარის ყოლაზე, და ვენაში რკინის გზის კონვენციის შეკვრაზე.

---

თბილისი, 29 სექტემბერს.

არც ერთი დაწესებულება, რაც უნდა შორს იდგეს იგი საზოგადოებასთან, მაინც ვერ წაუვა იმის გავლენას და ყოველთვის მის თანაგრძნობას უნდა ეძიებდეს. დაყუდებულების დრომ დიდი ხანია ჩაილურის წყალი დალია და თუ კერძო კაცი ყოველთვის საზოგადოებაში ტრიალებს და მასთანა აქვს საქმე, რასაკვირველია, დაწესებულებასაც ათასნაირი კავშირი უნდა ჰქონდეს და რადგან საზოგადოებისათვის არის გაჩენილი, ყოველთვის უნდა ცდილობდეს მის გულის მოგებას.

აიღეთ, მაგალითად, თუნდ რკინის-გზა. პირველის შეხედვით, რომელი დაწესებულებაა ამისთანა თვით-მნებელობით შეჭურვილი: გზად მიდიხარ და, უეჭველია, ამჯობინებ რკინის გზით სიარულს, ასე რომ, რაც უნდა გულ-მოსული იყო მის გამგეობაზედ, მაინც უნებურად ბილეთს აიღებ და დამორჩილდები აუცილებელს სვესა. მაგრამ ეს პირველის შეხედვით ასეა და თუ დაუკვირდება კაცი, აშკარად შეამჩნევს, რამოდენა ზარალი შეუძლიან მოუტანოს რკინის გზის გამგეობას უბრალო ამწონავის ბრიყულმა მოპყრობამაც კი საქონლის გამგზავნელებთან. შეიძლება ამწონმა მინამ არ გაგზავნოს შენი საქონელი, სანამ ქრთამს არ მისცემ და ამით რამდენიმე ათასი ფუთი რკინის გზას ააცილოს. ამისთანა ამბავი ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ის ადვილად დაიჯერებს, ვინც ჩვენს ხალხს იცნობს და ვინც იცის, როგორ ეზარება მას სხვა-და-სხვა ამწონებთან და და «უფლება შემოსილ» პირებთან დაუსრულებელი მუდარა და ხვეწნა.

ამ მაგალითს თავი უნდა დავანებოთ და საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ თუ რკინის გზის გამგეობა კეთილად განეწყვება ადგილობრივს საზოგადოებასთან, უეჭველია, არას წააგებს; ამის გამო ჩვენ მივუთითებთ შემდეგს გარემოებაზედ, რომელსაც, იმედი გვაქვს, ან თითონ გამგეობა, ან მინისტრი ყურადღებას მიაქცევენ და ეცდებიან უსამართლობა თავიდამ აიცილონ.

საქმე აი როგორ არის: ამას წინად დანიშნული იყო კომისია იმ მიწების შესასყიდად, რომელიც ბათუმის გზის გასაყვანად ესაჭიროებოდა კამპანიას. კომისიაში წევრებათ ჩაირიცხენ: მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, პრისტავი, კანდიდატი სასამართლოს ადგილებზედ და თითონ აგენტი კამპანიისა ბ. ბ—სკი. ამ კომისიას თურმე ჯერ მეტის მეტად დაუწევია ადგილების ფასი. ასე რომ ბევრგან ათის თუმნის ღირებულ მამულში ოთხის თუმნის მეტი არ

---

«დროების» ფელეტონი, 30 სექტემბ.

## მათე.

(ნაშაგირდალის მოგონება.)

### I

რა არის მათე?—უბრალო სახელი ხორც-შესხმულის ადამიანისა... მაგრამ იმ ნეტარს დროს, ოდეს თქვენი მონა გახლდათ ბედნიერი შაგირდი ქ. ქ—ის გიმნაზიისა, ეგ სახელი რომ დაგეძახნათ, როგორც თქვენის მონისა, აგრეთვე მთელის გიმნაზიის შაგირდთა სახეზედ დაცინვის ღიმილს შეამჩნევდა თქვენი მშვენიერი თვალები.

მართლა და რა იყო მათე, ვინ, და რა იყო ეს ღიმილი მისი სახელის წარმოთქმაზე?

მარტო სახელი «მათე» კი არ იყო სასაცილო,—მათე ხომ წმიდა სახარების დამწერის სახელიცაა და როდესაც ჩვენი ჭაღარა მოძღვარი წარმოსთქვამს: «მათესაგან წმიდისა სახარებისა საკითხავი-ო»—მაშინ ღიმილი როდის მოგვდის ხოლმე... მაგრამ აქ სულ სხვა ამბავია... ჩვენი მათე სულ სხვა «ვინმეა».

ძველსა და წმიდა მათეს ეს ჩემი მათე ვერაფრით მოგაგონებთ, ჩემო კარგო ბატონებო!.. მხოლოდ ეს კია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ დღეს ჩემი მათე იმ დასის და დიდებულის საქმის მიმდევარია, რომელს წმ. მათე წინ-უძღოდა, ესე იგი, ყრმათა გონების განვითარებისა. მხოლოდ, აი, რა განსხვავებაა: წმ. მათეს ამ ასპარეზზედ უშრომნია რამდენიმე საუკუნეთა წინად და მისი სიტყვანი დღესაც გულს ალბეჭდილად აქვთ მორწმუნეთ,—ჩემი მათე კი დღეს ჰქადაგებს და დღესვე ქარს მიაქვს მისნი სიტყვანი და მოძღვრებანი...

ასე, თქვენი ჭირიმე, ეხლა ხომ იცნობთ მათეს? და განსამარტებლად, აი, რას დავსძენ კიდევ.

მტარვალ ბუნებას ჩრდილოეთისა ემუხთლა მათესათვის, შეერყია მისი «ორგანიზმი» და ჩვენს, შვენებით სავსე, უხვ-ბუნებიანს ქვეყანაში აერჩია ასპარეზი, რათა აღედგინა ძველი დიდება თვისის აგებულებისა.

მაგრამ, ვაი!... მათეს ვარსკვლავი აღარა ბრწყინავდა, ბჟუტავდა იგი; მათე აღარ ეწერა ბედნიერთა სიაში ამა ქვეყნისა. «მაისის ვარდსა ფურჩვნილსა» არაფრით არ ემსგავსებოდა იგი. გული მათესი ფურჩქვნისა ნაცვლად, სჭკნებოდა უსაშველო სენისაგან.

და ესრედ, ჩვენ მიერ აღწერილი მათე გახლდათ ძველი ენების ოსტატი ქ. ქ—ის გიმნაზიაში.

გავიზრდებით, მერე სიბერეც ჩაგვიკაკუნებს კისერში და მათეს სახელს კი არ დავივიწყებთ მისნი მოწაფენი, და ეს მოგონება არა ერთხელ მოგვგვრის ღიმილსა...

### II

ვით გუშინდელი დღე, ისე რიგად მახსოვს მათეს სახე, წვრილი, როგორც კატისა; მაგრამ, იქნება თქვენა ჰფიქრობთ, ბატონო ჩემო, რომ მე წარსული საუკუნის თუ არა, ძლიერ დიდი ხნის ამბავს მაინც მოგითხრობდეთ—ორმოცისა ანუ სამოცის წლისას. ჰმ! რა შემცდარი ხართ! თქვენზედ შავი არ მენახოს,—ეს მეცხრამეტე საუკუნის—რა შორს მივდივარ—ეს გუშინდელი ამბავია, დღევანდელი...

დღეს კი თქვენც გესმით, რა დაბეჯითებით გაიძახით, სწავლა-განათლების განვითარებაზედ... და ამ დროს ჩვენს მათეს, და, ვინ იცის, ბევრს მათეზედ უარესებსაც, ხელთ უპყრიათ ყრმათა გონების განვითარების საქმე.

მაშინ, როდესაც სხვა ამ დაფორაქებულის ენის მასწავლებლების ხელში, ჩვენ, მოწაფენი, ოფლში ვიწურებოდით, ღამე ძილი ვინ გვაღირსა და დღე მოსვენება—თავს ვატეხდით კრემერის და შულცის სახელმძღვანელოებს; მაშინ როდესაც სხვა მასწავლებლების ხელში ათასს მეტანიას ვ'შვრებოდით გზაზედაც, გიმნაზიაში მიმავალნი, სადაც კი ეკლესია შეგვხვდებოდა, და თვით გიმნაზიაშიაც ვვედრიდით: ღმერთო, დღეს ნუ გააყვანინებ ჩემს თავს პოლშელ იეზუიტს, ან კვაჭუტას და სხვ., მაშინ, როდესაც სხვა მასწავლებლების ხელში-მეთქი ამ გვარი სიცხე გვადგა,—მათეს ხელში სულ სხვა იყო: ამის გაკვეთილი გვესიამოვნებოდა, რადგან ვიცოდით, სიცილში,

დაუნიშნავს და ეს ფასიც მხოლოდ იმათთვის მიუციათ ხელში, ვინც ან ძალაზედ დამდგარა, ან თავის ხელმოკლეობით გადაწყვეტილ ფასზედ კიდევ ნაკლებს დასჯერებულა. ვინც კი ამ გვარად არ მოქცეულა და ვისაც დამფასებელნი ცოტა დუნე-კაცად იცნობენ, ის დღესაც კიდევ თურმე ამაოდ გამოელის მოწყალებისავით თავის მამულის ფასს და ელირსება თუარა როდისმე მიღებას, არავინ იცის.

თავშიაცა ვსთქვით, რომ ამ გვარი უწესო ქცევა ზოგიერთა აგენტებისა, რკინის გზის კამპანიას თუ არ ავნებს, არას არგებს, რადგან ამ გვარ ხრიკებით, მართალია, ცოტა რამ შეემატება, მაგრამ საზოგადოების მომდურებით კი იმდენი დააკლდება, რომ ისევ ზარალი აჯობებს უსამართლო ვოწაგარს.

## შინაური ქრონიკა

ხმები ისმის, რომ ბაქი ქაქათხლისაგან გამონახადს არაყზედ მოისპობა და მხოლოდ მაშინ აირთმევა, როდესაც გამომხდელები თავიანთ ნაწარმოების გაყიდვას მოინდომებენ.

ამ დღეებში ბიბლიის საზოგადოება ჰგზავნის თავის აგენტს **ქართლ-კახეთ-იმერეთში** და ატანს **1200** ეგზემპლიარს სახარებას და სამოციქულოს მხედრულს ენაზედ ღარიბ მოწაფეთა შორის დასარიგებლად.

**«დროებაში»** არა ერთ გზის დაბეჭდილა, რომ ბ. მურიეს, ფრანცუზს, განუზრახავს კავკასიის აღწერის გამოცემა ფრანცუზულს ენაზე. შარშან ამ კაცმა გამოსცა პარიჟში მეგრული არაკები, ჩინებულად ნათარგმნი; წრეულს დაიწყო ოდესაში თითონ **სამეგრელოს** აღწერის ბეჭდვა და ნახევარი კიდევაც გამოსცა.

მურიეს ჯერ არც კი გაუთავებია ამ უკანასკნელი წიგნის გამოცემა და ჩვენ მოგვივიდა მესამე მისი თხზულება «ხელოვნება კავკასიაში», რომელშიაც ის ასწერს კავკასიის შესანიშნავ არხეოლოგიურ ნაშთებს, შენობებს, ჭურჭლებს, მხატვრობას და სხვ. ამ თხზულებას ორ წინანდელ წიგნზე მეტი შრომა და ხარჯი უნდა მოსდომოდა. ის არის გამშვენიერებული მრავალის მხატვრობითა და შეადგენს თხზულების პირველს ნაწილს. ორი სხვა ნაწილი უნდა გამოვიდეს მომავალს წელში.

სამწუხაროდ, წიგნი იბეჭდება მხოლოდ ასი ეგზემპლიარი, რომელთაგან ნახევარი რუსეთშივე გაუყიდნია ავტორს. მეორე ნახევარით უნდა დაკმაყოფილდენ ჩვენის ქვეყნის ცნობის მოყვარენი. წიგნი ღირს 25 მანეთი და ისყიდება ბერეშტამის მაღაზიაში. ამ წიგნის შეძენა ფულის დაკარგვა არ იქნება. რამდენიმე თვის შემდეგ შეიძლება ეს წიგნი ისეთივე ძვირი საშოვნელი გახდეს, როგორც დიუბუას თხზულება.

მოკლეს დროში გამოვა «სამეგრელოც». წიგნი გაისყიდება იმავე ბერეშტამთან.

**ქიზიყიდგან** გვწერენ: აქაური სასულიერო წოდების ზოგიერთა პირები ძლიერ შეწუხებულები არიან ადგილობრივ ბლაღოჩინისაგან მ. დ. ჩა—შვილისაგან. ეს დალოცვილი ართმევს საწყალ მღვდლებს ფულებს და არავინ კი იცის, ამ ფულებს მ. ბლაღოჩინი რომელ საქველ-მოქმედო საქმისთვის ხმარობს.

ზუგდიდიდგან სწერენ «იურიდიჩესკოე ობოზრენიეს», რომ ახალის მაზრის უფროსის მეოხებით ძალიან შემცირებულა იქ ქურდობა. ახალს მაზრის უფროსს არ მიუხედნია გვარიშვილობისათვის და ბევრი კარგი გვარის-შვილებიც დაუჭერია. ეხლა თურმე ციხეში ას ოცამდის კაცი ჰზის სხვა-და-სხვა ავაზაკობისათვის.

*28 სექტემბერს, რუსთის სასტუმროს უკან, დანოვის სახლიდგან ჩამოვარდა ბუხრის გამკეთებელი მუშა და თავი გაიტეხა ოთხად. ჩამოვარდნის მიზეზი უფრო გაუფთხილებლობა იყო.*

## რუსეთი

— ხმებია, ვითომ განზახვა ჰქონდეთ კლასიკურ გიმნაზიებში მერვე კლასი გააუქმონ. გაზეთები იწერებიან, რომ ამ საგანზე პროექტიც შემდგარი არისო.

— გაზეთები გვატყობინებენ აგრეთვე, რომ რამოდენიმე ქალაქი შუამდგომლობს თურმე სახალხო განათლების სამინისტროში მიენიჭოთ მათ უფლება მმართებლობის დაუკითხავად სასოფლო სკოლების გახსნისა, რომლებშიაც ასწავლიდენ წერა-კითხვას და მხატვრობას, და ამ სკოლების მასწავლებლებსაც არ ეთხოვებოდეს სწავლების უფლების სპეციალური მოწმობანი, იმ პირობით კი, რასაკვირველია, რომ სკოლები მმართებლობის მხედველობის ქვეშ იმყოფებოდენ.

## უცხოეთი

კარგა ხანია, რაც ევროპას ყურადღება მიუპყრია ფაბრიკების მუშა-ხალხის მდგომარეობისათვის; საუკეთესო მეცნიერები და მწერლები სულ იმას ცდილობდენ, რომ ჩაეგონებინათ მმართებლობისა და საზოგადოებისათვის მუშა-ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობის საჭიროება; მეცნიერებისა და მწერლობის ამ გვარი მიმართულება გამოწვეული იყო მართლადა ხალხის უკიდურესობით, რომელიც დაბადა მუშა-ხალხის უმიწა-წყლობამ და თანამედროვე ვაჭრობამ და მრეწველობამ; ამ გარემოებათა წყალობით მუშა-ხალხი შეიქმნა სრული მონა კაპიტალისა და დაკარგა ეკონომიური დამოუკიდებლობა, ურომლისობაც ცუდად მოქმედობს თვით ხალხის პოლიტიკურს უფლებაზე მისგან სასტიკის ბრძოლის შემდეგ შეძენილზე.

ამ ჟამად თვით მმართებლობანი მოწადინებულნი არიან გააუმჯობესონ ხალხის ყოფა-ცხოვრება, რადგანაც, ცოტათი არ იყოს, შეიგნეს ეკონომიური საქმის უაღრესი მნიშვნელობა; ისინი დარწმუნდენ, რომ პოლიტიკური წეს-წყობილება და მათივე ბედნიერება შეკავშირებულია ხალხის ეკონომიურს მდგომარეობასთან. მმართებლობანი ამ ჟამად ხმარობენ ყოველ გვარს ღონისძიებას მუშა ხალხის გულის მოსაპოვებლად და იმის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მართალია, ზოგიერთნი ამაში ბევრს სიყალბეს იჩენენ, მაგრამ ზოგიერთთა განკარგულება და მეცადინეობა კი ყოვლად პატივსაცემი და საყურადღებოა.

შვეიცარიის საერთო მმართებლობა ამ მოკლე ხანში მიჰმართავს ევროპიელ სახელმწიფოთა და ამერიკის შეერთებულ შტატებს წინადადებით შესახებ ხალხთაშორისი კანონმდებლობისა და ათი საათის სამუშაო დღის დადგენისა ფაბრიკის მუშა-ხალხისათვის, თვით შვეიცარიაში მუშა ხალხისათვის მუშაობის ვადა შემცირებულია 12 საათიდამ ათამდე, სხვა ქვეყნებში კი იგივე ვადა შეუცვლელი დარჩა (12-13 საათი). ამ შემთხვევაში შვეიცარიამ სხვებზე მეტი კეთ-

ოხუნჯობაში და მასხრობაში გაიდოდა მთელი გაკვეთილი და ყველა ეს სიკეთე: სიცილი, ოხუნჯობა და მასხრობა მათესადმი იყო მიმართული მოწაფეთაგან. ხშირად, როცა სიტყვით ან საქმით ახირებულს რასმე მოიქმედებდა საწყალი მათე გაკვეთილის დროს, ასტყდებოდა მთელს კლასში ერთი ხრიალი, სიცილი, უფრო ძალდატანებული, და თუ მეტი არა, ოცი წამი მაინც გაივლიდა, რომ ეს უშნო, უმარილო სიცილი არ გაწყდებოდა. მათეს არ შეეძლო ახალი რამ ტანისამოსი ჩაეცვა: «ახ, მატფეი იაგორიჩ, რა მშვენიერებაა თქვენი სიურტუკი, შარვალი ან ჟილეტი და ქუდი!»—მივარდებოდა ერთი მოწაფე, დაუწყებდა გამოკითხვას: «სად გიყიდნიათ, სად შეგიკერინებიათ, რა დაგჯდომიათ» და სხვა ამ გვარებისას ასე გადიოდა მთელი გაკვეთილი. დაზამთრდა და მათე შემოვიდა ერთხელ იმოდენა ქურქით, რომ ცხვირის გარდა არა უჩანდა-რა. «ოოო!»-ასტყდა მთელს კლასში ერთი ჩოჩქოლი და ამ ვითომ გაკვირვებას მოჰყვა ბოლო-მოუღებელი დავა: «კვერნისაა! მელისაა! მგლისაა! ტურისაა! დათვისაა! ბაბორია! ვეფხია!» და სხ. შეიქნა ნაძლევები. მთელს კლასში ორი თუ დარჩა მოწაფე, რომ ნაძლევი არ დაედვათ ერთმანეთში. ეხლა მისცვივდენ ქურქს, იქით სინჯვენ, აქეთ სინჯვენ, სწეწვენ ბეწვს და სხვ. მოთმინებიდამ გამოდის მათე და მიხრწნილის ხმით შესძახებს: «დასხედით! დაჩუმდით! რა ხალხია! ღმერთო, დამიფარე!.. დასხედით-მეთქი!»

— «არა, უნდა გვითხრათ, მ. ი., ამდენი ნაძლევია! არ შეიძლება, უნდა დავკმაყოფილდეთ, გვითხარით, რისია ეგ ქურქი?»

— რისია და ცხვრისაა!—ესა სთქვა და გაჯავრებული ავარდა კათედრაზე.

აქ ყველამ თავში «ისტკვლიცა» ხელი—არც ერთს მოპირდაპირეს არ მოაგონდა ცხვარი. მხოლოდ, ამ დროს წამოხტა ერთი კენტად დარჩომილი მოწაფე და წარმოსთქვა:

— მ. ი. სიტყვას ვითხოვ,—დაიწყო მან დიდებულად, თითქოს პარლამენტში იჯდესო: მე თუმცა მომაგონდა ცხვარი, მაგრამ ერთმა გარემოებამ ჩამაჩუმა,—ვერ წარმოვიდგინე, თუ თქვენ ცხვრის ქურქს იკადრებდით. თქვენ და ცხვარი—რაღაც ჭკუაში არ მოდის სწორედ,—ამისათვის... მე...

— დაჩუმდით! ახ, თქვე მართლა და ცხვრებო!

— ერი-ჰა,—დაიწყო იმავე მოწაფემ: ხედავთ, ყმაწვილებო, რა დასკვნა გამოიყვანა მ. ი—მა! ჩვენ ცხვრები, მას ცხვრის ქურქი ახურავს, ესე იგი ტყავი ცხვრისა,—მაშასადამე ჩვენი ტყავი! ჰეე, რა მახვილი რამა ხართ, მატფეი იაგორიჩ!»

— ჩემის სიტყვების მაგ გვარად ახსნისათვის თქვენ მიიღეთ დღეს ოთხი «ედინიცა»,—სთქვა და თან ხელთ იპყრა მათემ კალამი რკინისა: ეს ცოდნა, ეს ყურთა-სმენა, ეს ცდა და ესეც ყოფა-ქცევა.

— მადლობას გწირავთ, მ. ი—ჩ!

— და ე მაგ მადლობისათვის დღეს ინებეთ უსადილოდ დარჩენა!

— სადილად ეგ წვადებიც (ედინიცები) მეყოფა!

— და მაგ სიტყვებისათვისაც თქვენ შავ დავთარში ჩაიწერეთ!

— მეც მეყოფა ამ წელიწადში!..

— ქმარა, თუ არ გინდათ, რომ დღესვე გამოგრიცხონ!

ძლივს—მშვიდობიანობა!..

ამ რიგად მიმდინარეობდა ჩვენი მათეს გაკვეთილები. ამ მოყვანილ ნიმუშებზედ თუ უარესი არა, უკეთესი გაკვეთილი არ ახსოვს თქვენს მონას, ოდეს მას გონება ეხსნებოდა მათეს ხელში.

### III

რუს-ოსმალოს შუა ომი სდუღდა და გადასდუღდა; სკობელევი დაღონებული ჯარით კვირეებს სთვლის პლევნოს სიმაგრეებთან. «ჟამი ესე იდგა ქვეყანასა ზედან». მაგრამ აქ ვხედავ, რომ ბატონს ჩემს მკითხველს ხახა დაუღია და თვალები დაუჭყეტია:

— ბიჭოს! სად რუს-ოსმალოს ომი და სად ვიღაც მასწავლებლის მათეს ამბავი! სად ესეთი ისტორიული მოვლენა და სად მათე!

აარა, ჩემო კარგო ხელმწიფენო! შემცდარი ხართ; მე სითავხედედ-კი არ მიმაჩნია ვითხოვო მომავალის მე-

მოუვარეობა გამოიჩინა, მაგრამ ამ გარემოებამ ზარალი მისცა შვეიცარიის ვაჭრობას და მრეწველობას, მუშა-ხალხის ქირა შვეიცარიაში სამუშაო ვადის შემცირების შემდეგ მეტი დარჩა, სხვაგან კი არც ვადა და არც ქირა არ შეუმცირებიათ, ამიტომაც გერმანიამ და საფრანგეთმა დიდი კონკურენცია გაუწიეს შვეიცარიას; ცხადია, რომ გერმანიის და საფრანგეთის ნაწარმოებნი უფრო იაფად უნდა გასულიყვნენ, ვიდრე შვეიცარიისა, რადგანაც იქა მუშა მუშაობს მომეტებულსა შვეიცარიელ მუშაზე და ქირა კი ერთი და იგივე ეძლევათ ორთავეს.

ამიტომაც შვეიცარიის მმართებლობამ უნდა მიმართოს სხვა სახელმწიფოებს და ერთად ეცადონ დადგინონ საერთო კანონდებულება და შემოიღონ ერთი და იგივე ვადა მუშაობისა. იტალიამ და ავსტრიამ დიდის თანაგრძნობით მიიღეს შვეიცარიის მმართებლობის წინადადება, რომელიც გამოიწვიეს ადგილობრივი ფაბრიკანტების თხოვნამ და მუშების შვეიცარიელმა კონგრესმა; თუ კი შვეიცარიის წინადადება შეწყნარებული იქმნა, უეჭველია, მუშა-ხალხს შეღავათი მიეცემა და არც შვეიცარიის ვაჭრობას მოუვა ზარალი.

— მადრიდიდამ სწერენ ჰავასის სააგენტოს: «ზოგიერთა უცხოელი გაზეთები გარდაწყვეტით ლაპარაკობენ, ვითომც მეფე ალფონსი, ბერლინში მყოფობის დროს, გერმანიას რაღაც საიდუმლო პირობით შეჰკვროდეს. ეს იმას ამტკიცებს, რომ უცხოელმა გაზეთებმა არ იციან ესპანიის პოლიტიკური მოწყობილება, არ იციან, რომ, თუმცა კორტესებს კონსტიტუციის ძალით შეუძლიანთ მეფეს ნება დართონ კავშირის და პირობის შეკვრისა, მაგრამ ამავე კონსტიტუციის ძალით საიდუმლოდ შეკრული პირობა ვერ გააუქმებს სახალხოდ გამოცხადებულს პირობას; ამის გარდა, ესპანიას მშვიდობიანობა ჰსურს და კიდეც საჭიროებს მას, და მეფე ალფონსი, ისეთი მეფეა, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ყოველთვის მაღლა აყენებს თავის პირადს ინტერესებზე».

## წესდება

(დასასრული *)

### § 14.

საზოგადო კრებას აქვს ძალა, როდესაც კრება შესდგება არა-ნაკლებ 14-ს წევრისა; წინაალმდეგ შემთხვევაში კი, იმ კითხვების განსახილველად, რომელნიც უნდა განეხილა და გადაეწყვიტა შეუძლებელ კრებას, მოწვეულ იქნება ახალი საზოგადო კრება, რომლის განჩინებას აქვს ძალა, რამოდენა რიცხვმა წევრებმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა მის განჩინების დადგინებაში.

### § 15.

საზოგადო კრებები სახალხოა. კრების წევრნი ყოველთვის ამოირჩევენ თავიანთგან კენჭის-ყრით თავმჯდომარეს და სეკრეტარს. საზოგადო კრების განაჩენებს სეკრეტარი ჩასწერს პროტოკოლებში, რომელთაც ხელს მოაწერენ კრებაში დამსწრე წევრნი და გადიცემიან გამგე კომიტეტში ჯეროვანად აღსრულებაში მოყვანისათვის.

### § 16.

საზოგადო კრებაში საქმეები გადასწყდება დამსწრეთა უბრალო ხმის უმრავლესობით.

*) იხ. «დროება» № 192.

### § 17.

გამგე კომიტეტს შეადგენენ ორი უცვლელი და ექვსი ამორჩეული წევრი და ამ უკანასკნელების სამი კანდიდატი. უცვლელნი წევრნი არიან: მზრუნველი სასოფლო-მეურნეობის სკოლისა და მისი ზედამხედველი. ამორჩეულ წევრებს კომიტეტისას და იმათ კანდიდატებს ამოირჩევენ თავის შორის საზოგადო კრების წევრნი ერთის წლით.

### § 18.

გამგე კომიტეტი ამოირჩევს იმ რიცხვთაგან, რომელნიც იმის წევრებს შეადგენენ, თავმჯდომარეს, იმის ამხანაგს და მწერლობისა და საზოგადოების კასსის მმართველს. კომიტეტს ნება ეძლევა მოიწვიოს ხოლმე თავის სხდომებში, საჭიროების დაგვარად, როგორათაც საზოგადოების სხვა წევრებიც, რომელთაც ამ სხდომებში ხმა ექნებათ, აგრეთვე გარეშე პირნი, როგორათაც მრჩეველნი წევრნი.

### § 19.

ყველა პირნი, რომელთაც გამგე კომიტეტში აქვთ მონაწილეობა, თავის მოვალეობას ასრულებენ უსასყიდლოთ.

### § 20.

გამგე კომიტეტსა აქვს თავისი ბეჭედი ზედ-წარწერით: «ბეჭედი სასოფლო-მეურნეობის სოფლის წინამძღვრიანთ-კარის სკოლის მფარველობის და შემწეობის საზოგადოების გამგე კომიტეტისა». ბეჭედი შენახული ექნება კომიტეტის თავმჯდომარეს და ანუ ვინც იმის მოადგილეთ იქნება.

### § 21.

გამგე კომიტეტი შეიკრიბება, საჭიროების დაგვარად, თავმჯდომარის მიხედვით ანუ კომიტეტის სამის წევრის განცხადებით. საქმეები კომიტეტში გადასწყდება ხმის უმრავლესობით; თუ რომ ორივე მხარეს თანასწორე ხმები ექნება, იმ მხარეს მიეცემა ძალა, რომელშიაც თავმჯდომარის ხმა არის. კომიტეტის განჩინებას მაშინ აქვს ძალა, როდესაც იმის დადგინებაში მიუღიათ მონაწილეობა, გარდა თავმჯდომარისა, არა ნაკლებ კომიტეტის სამ წევრსა. თუ თავმჯდომარე ადგილობრივ არ იმყოფება, მაშინ იმის ადგილს დაიჭერს თავმჯდომარის ამხანაგი.

### § 22.

გამგე კომიტეტის მოვალეობას, გარდა ნაჩვენებისა სხვა §§-ში, შეადგენენ:

ა) აღსრულებაში მოყვანა საზოგადო კრების ყველა კანონიერი განაჩენებისა;

ბ) წარმოება შემოსავალ-გასავლის წიგნებისა და ანგარიშებისა საზოგადოებისა და სკოლის ფულისა და ქონებათა, აგრეთვე შედგენა წასრულის წლის ანგარიშისა;

გ) თვალ-ყურის გდება, რომ სკოლაში კანონიერად სწარმოებდეს საქმეები და შემოწმება თავ-თავის დროს, კომიტეტის მიხედვით, საზოგადოების ფულისა და სკოლის ქონებისა;

დ) განხილვა სკოლის საჭიროებაზე ყველა კითხვებისა, რომელნიც კომიტეტში შემოუტანია იმის რჩევას ანუ მზრუნველს, და აგრეთვე კომიტეტის და საზოგადოების წევრებს, და წარდგენა უმძიმესების ამ კითხვათაგანის საზოგადო კრების განსახილველად;

---

მატიანესაგან, რომ მათეს სახელი მოუხსენებელი არ დარჩეს მისს მოთხრობაში.

თუ ძლიერმა რუსეთმა, იმიტომ გაუმართა ოსმალოს ომი, რომ თვის მონათესავე ხალხს, ოსმალოს ქვეშევრდომებს, დაჩაგრულს მდგომარეობაში ხედავდა და ეს მოვლენა თუკია მემატიანესათვის შესამჩნევი, მაშინ არც მათეს მოღვაწეობამ უნდა ჩაიაროს შეუმჩნევლად, მით უფრო რომ ჩვენი მათე დღესაც მოღვაწეობს განათლების ასპარეზზედ და დღესაც აღრინდულად აჩლუნგებს ყრმათა გონებას.

მაგრამ ამ გვარი სჯა ჩემი საქმე არ არის. მე ისევ ჩემს არაკის მსგავს ამბავს განვაგრძობ.

ერთ მშვენიერს დღეს ელვასებ გავარდა ხმა რუსებისგან პლევნას აღებისა. იმ დღეს გვალოცეს და ლოცვის შემდეგ სწორედ მათეს გაკვეთილი გვქონდა.

შემოვიდა მათე გახარებული, თითქო მას აელო ეს კერპი სიმაგრე:

— აბა, გამიგონეთ, — ღიმილით მოჰყვა მათე: ერთს რასმე გეტყვით. დღეს პლევნო აიღეთ (დიაღ, ჩვენც იქ არ ვიყავით?). დავაგდოთ ბრძოლის ველი და აქ გადმოვიდეთ ამ ჩვენს ოთახში.

— რომელი გზით მოველით, მ. ი—ჩ, ზღვით თუ ხმელეთით?—წამოხტა კიდევ ის მ—წაფე, ოთხი «მწვადი» რომ იგება.

— მგ სულ ერთია! გამოიგონეთ. დიაღ, ეს ოთახია დღეს ჩვენი ბრძოლის ველი. აი, ესეც პლევნო (კათედრაზე მიუთითა) და აქ მე ვარ ოსმან-ფაშა, თქვენ რუსის ჯარი...

— მატფეი იაგორიჩ! სკობელევი?— ველარ მოითმინა კიდევ იმ «ოთხმწვადიანმა».

— სკობელევი?.. სკობელევი ის იქმნება, ვინც დღეს გაკვეთილს მომიგებს, მე ის დამიმონებს.

— ბრავო, მატ. იაგ—იჩ!—ერთხმივ დაიგრიალა კლასმა.

Вотъ сопоставленіе
Такъ мое почтеніе!

სიმღერის ხმით დააყოლა «მწვადიანმა» და თან დაატანა:

— გამაგრდით, ოსმან, მოვდივარ იერიშით! ესეც ჩემი იარაღი,—და ხელთ იპყრა შულტის სახელმძღვანელო.

— მობრძანდით,—თავაზიანად წარმოსთქვა მათემ.

გამოტეხილს მოგახსენებთ, რომ მათეს გაკვეთილებს ჩვენგან ძვირად თუ ვინმე სწავლობდა და ეს მოწაფე-კი, რომელმაც ამ ჯერად სკობელევობა დაიჩემა, ერთობ დიდი და გულ-მხურვალე მიმდევარი იყო იმ დასისა ჩვენ შორის, რომელნიც სრულიად არ ვამზადებდით მათეს გაკვეთილს. ცხადია მაშ, როგორ გაგვაკვირვებდა ჩვენ მათე-თურთ ამის სითამამე. აქ საჭიროა, მოვიგონო ერთი გარემოება, რომლის გამო მედღიურეებს (дежурный) ბევრი «უსიამოვნება» შეხვედრიათ. თითქმის მუდამ მათეს ხაფანგს უგებდით ჩვენ, მოწაფენი, კათედრაზე. აი, როგორ: კათედრა თვით იატაკზე მაღალია, როგორც მოგეხსენებათ, კათედრის სკამის უკან ფეხებს ისეთს ციცაბზე დავწევდით ხოლმე, რომ არა თუ დაჯდომა სკამზედ, მისი მცირედ განძრევაც-კი კმაროდა, რომ უკანა ფეხები ჩასხლეტოდა და ზედ მჯდომს ნიკაპი კათედრისათვის ჩამოეკრა და ფეხებიც მაღლა აეწია. ამ «ოინს» ვუშვრებოდით ხოლმე მათეს და, ნეტავი, ერთხელ მაინც მოჰგონებოდა—სკამი გაესწორებინა და ისე ჩამომჯდარიყო.

ჩვენი ტყუილი სკობელევი მივიდა კათედრასთან და რაღაც ბეჯითად ყურება დაუწყო სკამის ფეხებს. ხედავს, რომ დღეს რაღაც ცუდად დაუგიათ ხაფანგი: სკამის ფეხები სულ ციცაბზე არ არის მიწეული. რა ეს ნახა, იდუმლად აიღო ფეხი და ერთი ბლდნელური სარმა გამოჰკრა სკამის ფეხებს. გახდა ლაწანი წავიდა მათეს ფეხები ზევით. დრო იხელთა «მწვადიანმა», მსწრაფლ დასტაცა მათეს ხელები და გმირულად შეჰსძახა:

— დამნებდი, ოსმან, პლევნო ჩემია!!

აქ თქვენც მიხვდებით, რა ამბავი შეიქმნებოდა კლასში ამ დროს..

სოფლელი.

20 ენკენისთვეს 1883 წელს.
ს. რიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გამართვა, ჯეროვანთ მმართველთ ნება-რთვით, საზოგადოების საშუალების გასამრავლებლათ, სახალხო ლექციებისა, კონცერტებისა, ბალებისა, სპექტაკლებისა და სხ., და დანიშვნა ამ შემთხვევებში რიგის მიმცემთა;

ვ) ბარდაცემა და შემოწმება შესაგროებელის წიგნებისა შემოსაწირავებისათვის;

ზ) მიწერ-მოწერა სხვა-და-სხვა დაწესებულებათადმი და პირთადმი და წარდგენა, სადაც ჯერ არს, შუამავლობისა საზოგადოების საქმეთა გამო და სკოლის საჭიროებათა გამო, და საზოგადოდ აღმასრულებელი და ადმინისტრატიული განკარგულებანი.

§ 23.

კომიტეტისაგან შედგენილი წლის ანგარიში საზოგადოებისა და სკოლის საქმეების მდგომარეობაზე განვლილ წელს, და აგრეთვე სმეტა საზოგადოებისა და სკოლის შემოსავალ-გასავალზე მომავალ წელს, წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებელად საზოგადო კრებას, თვითოეულის წლის არა უგვიანეს სექტემბრისა, და შემდეგ მის დამტკიცებისა საზოგადო კრებისაგან, იბეჭდება ადგილობრივ გაზეთებში. ცალკე ეგზემპლიარები ამ ანგარიშებისა და სმეტებისა წარედგინება კავკასიის მთავარ-მმართებელს, კავკასიის სასწავლო ოკრუგის მზრუნველს, თბილისის გუბერნატორს და თბილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთ დირექტორს.

§ 24.

იმ შემთხვევებში, რომელთაც ეს წესდება არ ეხება, საზოგადოება ხელთმძღვანელობს საზოგადო სჯულ-კანონებით და მმართებლობის განკარგულებებით.

§ 25.

ამ წესდების შეცვლაზე და დამატებაზე ნება-რთვა მოითხოვება დაწესებულის რიგით.

§ 26.

თუ ვინიცობაა, საზოგადოების გაუქმება აუცილებელ საქმედ აღმოჩნდა, იმის საქმეების ლიკვიდაცია იწარმოება იმ წესით, რომელსაც დაადგენს საზოგადო კრება ³/₄ საზოგადოების წევრთა ხმის უმეტესობით.

---

«დროების» ფოსტა.

დ. ახალ სენაკს ი. ბ—უას. დიდად მადლობელი დავრჩებით, თუ საინტერესო ამბებს შეგვატყობინებთ ხოლმე.

მღ. ა—შვილს. აზირებული წარმოდგენა გქონიათ რედაქციაზედ. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ რედაქცია არას დროს იმის განხილვაში არ შედის, რომელიმე წერილის ავტორი ხელის-მომწერია, თუ არა, და ამის კვალობაზედ არ ეპყრობა მათს წერილებს. თქვენს წერილებსაც ყოველთვის დავბეჭდავთ, თუ, როგორც თქვენა ბძანებთ «ოჭელ-ბოჭელია» არ იქნება.

ი. დ—შვილს. თქვენი მოგზაურობა არ დაიბეჭდება. რაც შეეხება ლექსს, მოგვწონს და დავბეჭდავდით კიდეც, თუ ზოგიერთ მოსაზრებას არ დაეშალა.

---


განცხადებანი

—

გამოვიდა და ისყიდება «Первый Шагъ»—რუსული ენის სახელ-მძღვანელო ქართულ სკოლებში სახმარებლად, შედ. აღნიაშვილისაგან; ისყიდება ცენტრალურ წიგნის სავაჭროში, ფასი 40 კაპ. (6—5)

---

სასტუმრო (გოსტინიცა)

„იტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.

(30—9)

---

ქართული გრამატიკა

დიმ. ივ. ყიფიანისა

ისყიდება თბილისის ცენტრალურს წიგნების მაღაზიაში, ქუთაისში ძმათ ჭილაძეებთან თითო 1 მან. 20 კაპ. ჩვეულებრივს და 1 მ. 50 კ. ველენის ქაღალდზედ. (3—2)

---

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—43)

---

კავკასიის წყალი

ეკუთვნის მარტო

ვარშავის ქიმიურ ლაბარატორიას.

ეს წყალი ჩადის მაგიერობას საუკეთესო და ნაზი ყვავილების ოდეკოლონისას. შეიძლება მიიღოთ თორმეტ-ნაირის საგნისა, რომელიც დიდი ხანი რჩება: იისა, რეზედასი, ჰელიოტროპისა, კავკასიის თივისა, ვარდისა, პიატიგორსკის თაიგულისა, ზამბახისა და სხვ.

ფასი ფლაკონისა 1 მან. 50 კაპ.

უმთავრესი დეპო ვარშავაში.

С-то Ерская ул. № 12.

ვინც ერთბაშად იყიდის, ფასი კარგად დაუკლდებათ. (3—3)

---

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზა.

განცხადება

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის მმართველობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის წასვლა-წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით, იმ მატარებლებში კი, რომელნიც მუდამ დადიან—მცხეთის მოგზაურნი არ მიიღებიან.

30 სექტემბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
| --- | --- |
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ოქტომბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
| --- | --- |
| დილისა 7 საათზე 12 მინუტზე | დილისა 8 საათ. 21 მინ. |
| 9 საათზე 15 მინუტზე | 10 საათ. 10 მინ. |
| 10 საათზე 23 მინუტზე | 11 საათ. 32 მინ. |
| 11 საათზე 35 მინუტზე | შუადღისას 12 საათ. 40 მინ. |
| შუადღისას 2 საათზე 42 მინუტზე | 4 საათ. 25 მინ. |
| 4 საათზე 28 მინუტზე | 5 საათ. 35 მინ. |
| 5 საათზე 39 მინუტზე | 6 საათ. 45 მინ. |
| ღამისა 6 საათზე 48 მინუტზე | ღამისა 8 საათ. 20 მინ. |

ბილეთები გაიყიდება მარტო ტფილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელად. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო იმ საგანგებო მატარებლებით, რომელნიც 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს მატარებელში იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში 600, ამისათვის მოგზაურებს არ შეუძლიათ საყვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლად დაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სხვა პოეზდს.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოდ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთის მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის ათს საათამდინ.

ის პირნი, რომელნიც ისურვებენ საგანგებო მატარებლებით წამოსვლას 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთიდამ თბილისში, იმათთვის ბილეთები გაიყიდება მცხეთაში. (3—3)


Довв. цензур Тифлисъ, 29 Сентября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.